

საბუღალტრო და ფინანსური ტერმინების
ინგლისურ-ქართულ-რუსული

ლექსიკონი

გრანტებთან სამუშაოდ



ცნობარი გამოიცა ქალთა საინფორმაციო
ცენტრის მიერ და განკუთვნილია გრანტებზე
მომუშავე ორგანიზაციებისთვის

გამოცემის კოორდინატორი: ელენე რუსეცკი
რედაქტორი: თამარ გოგოლაძე

ყდის დიზაინი: ალიონა ელტიშევა
დაკაბადონება: პაატა მამფორია



დაიბეჭდა ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის: წინამძღვრიშვილის 40

თბილისი, 0102,

ტელ/ფაქსი: (+995 32) 942699


ელ-ფოსტა: designer@ginsc.net

wicmika@caucasus.net

ვებ-გვერდი: www.ginsc.net

www.wicge.org

ISBN 978-9941-0-0501-5



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

საინფორმაციო უზრუნველყოფა ყველასათვის...

ქალთა საინფორმაციო ცენტრი შეიქმნა ქალთა ინიციატივით 2000 წელს, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს კომიტეტის ხელშეწყობით. 2002 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრი გახდა თანადადამფუძნებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის. 2003 წელს დარეგისტრირდა როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ორგანიზაციის მისიაა საქართველოში ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფით, საკუთარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებით, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობით.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი არის აღმოსავლეთ – დასავლეთ ქალთა საერთაშორისო ქსელის (NEWW) და ქალები ძალადობის წინააღმდეგ ევროპაში (WAVE) ქსელის წარმომადგენელი საქართველოში.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცალკეულ პიროვნებებს უწევს სატიელეფონო და პირდაპირ კონსულტაციებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, ფონდების მოზიდვაზე, ეხმარება მათ საიტების განახლებისა და შექმნის პროცესში.

საგამომცემლო და ბეჭდვითი მომსახურება

ქალთა პოლიგრაფიული სერვისი ახდენს მაღალი ხარისხისა და ყველა სახის საგამომცემლო მომსახურებას არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ჩვეულებრივი მომხმარებლებისათვის.

ქალთა პოლიგრაფიული სერვისის ჯგუფი ზრუნავს თქვენი პროდუქციის ვიზუალსა და ხარისხზე. სთავაზობს კონსულტაციებს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მცირე დანახარჯებით მიიღონ მაქსიმალური ხარისხის მომსახურება.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის საქმიანობის შესახებ უფრო დანერჩილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ენვიოთ ქალთა საინფორმაციო ცენტრის საიტს www.wicge.org

ქალთა პოლიგრაფიული სერვისი

ყველა თქვენი შეკვეთა ჩანაფიქრიდან რეალობამდე!

ქალთა საინფორმაციო ცენტრთან არსებული ქალთა პოლიგრაფიული სერვისი ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას:

- დიზაინი – ჩვენი დიზაინერები თქვენი მოთხოვნის შესაბამისად შეეცდებიან დააკმაყოფილონ ყვე-

ლა თქვენი მოთხოვნა და საინტერესო გადანყვეტა მისცენ თქვენს ჩანაფიქრს.

- **დაკაბადონება** – ეს ხელოვნებაა, რომელსაც დიდი ყურადღება და ცოდნა სჭირდება, ამიტომ გვენდეთ ხარისხიანად და სწრაფად თქვენ მიიღებთ საუკეთესო პროდუქტს.
- **ბეჭდვა** – ჩვენ დაგეხმარებით მივიღოთ სწორი გადანყვეტილება რა ტექნოლოგია გამოვიყენოთ თქვენი პროდუქციის ხარისხის მისაღებად. ჩვენთან თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი რაოდენობის ნიგნების დაბეჭდვა მცირე ტირაჟიდან, თუნდაც ერთი ნიგნი.
- **CD-დისკზე ბეჭდვა** – თქვენ საქმიანი ადამიანები ბრძანდებით და ხშირად გინევთ მგზავრობა. დაზოგეთ ენერგია და ნუ წაიღებთ მძიმე ტვირთს გზაში, დისკებზე ჩანერილი მასალა 7-ჯერ ნაკლებს ინონის. ჩანერეთ თქვენი ნაშრომები და ნიგნები დისკებზე და ჩვენ შესაბამის დიზანს გავუკეთებთ.
- **აკინძვა** – სწორედ შერჩეული აკინძვა თქვენს ნიგნს უფრო მდიდრულს ხდის, ამიტომ, ჩვენ გთავაზობთ ნებისმიერი სახის ნიგნის აკინძვას – რბილ და მაგარ ყდაში ჩასმას, აკინძვას თერმულად, სტეპლერით, ძაფით კერვას, თქვენი სურვილის შესაბამისად.
- **ლამინაცია** – გლუვი, პრიალა.
- **საიტის შექმნა და მისი განახლება.**

წინასიტყვაობა

ლექსიკონი განკუთვნილია იმ არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გრანტებს იღებენ საერთაშორისო საქველმოქედო ფონდებისგან.

სირთულეები, რომლებსაც განიცდიან ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ბუღალტრები გრანტის გამცემი ორგანიზაციებიდან მიღებული ინგლისურენოვანი ტექსტების თარგმნისას, რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას:

პირველი, დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ვინრო სპეციალური ტერმინები, რომელთა თარგმანიც ძნელად თუ მოიძებნება ლექსიკონში.

მეორე, ამგვარ ლექსიკონებში შესაძლოა არ შეგვხვდეს ისეთი ტერმინები, რომლებიც იშვიათად გამოიყენება. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა „drawndown“, რომელიც ნიშნავს გადარიცხულ ფულად თანხებს გრანტის მიმღებისათვის. თუ აღნიშნული სიტყვა შეტანილია ლექსიკონში, ხშირად მისი მნიშვნელობაა „გადაწევა“ (ფარდის), „გამონვევა“ (რისხვის; უკმაყოფილების), „ნაფაზის დარტყმა“. ცხადია, ყველა ეს სიტყვა აზრობრივად შორს არის იმასთან, რასაც გულისხმობდა გრანტის გამცემი.

მესამე, გარკვეული უცხოური ფინანსური და საბუღალტრო ტერმინებისათვის რთულია შესატყვისი ქართული ეკვივალენტის მოძებნა. რა უნდა გავაკეთოთ, მა-

გალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტის გამცემი მოითხოვს, რომ ფინანსურ ანგარიშს აუცილებლად თან ერთვოდეს ყველა „დაფარული ჩეკის“ ასლები (cancelled cheque)?

და ბოლოს, მეოთხე, ზოგიერთი ტერმინის თარგმანი არ შეიძლება პირდაპირ იქნას გაგებული. აღნიშნულის კარგი მაგალითია სიტყვა „cash“, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც „ნაღდი ფული“, სინამდვილეში კი, ამ ტერმინით იგულისხმება არა მხოლოდ ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში, არამედ ყველა ფულადი სახსრების ჯამი, რომელიც არსებობს ორგანიზაციის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

მრავალი ინგლისური საბუღალტრო და ფინანსური ტერმინიდან („დიდი ბიზნეს ინგლისურ-რუსული ლექსიკონი“ – 18000!) ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ ის, რომელიც მიეკუთვნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროს და გამოიყენება საქველმოქმედო ფონდების გრანტებთან მუშაობის დროს. ლექსიკონში არ არის შეტანილი გამოთქმები, რომლებიც აღნიშნავენ საბანკო და ბირჟის საქმიანობას, მუშაობას ფასიან ქალაქებთან, ვაჭრობასთან, მოგების ანგარიშსწორებასთან.

ამავე დროს ზედმინევნით არის გაშუქებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი ისეთი თემები, როგორიცაა მუშაობა პირველად დოკუმენტებთან და ხარჯების ბუღალტრულ აღრიცხვასთან. დიდი ყურადღება ეთმობა ბუღალტრული აღრიცხვის უცხოურ პრინციპებს, რომლის ცოდნა აადვილებს გრან-

ტის გამცემის მიერ მიღებულ ფინანსურ და ბუღალტრულ დოკუმენტაციის გაგებას. ტერმინთაუმეტესობასა და სიტყვათშეთანხმებაზე მოცემულია კომენტარები, რომლებიც ხსნის მათ მნიშვნელობას საზღვარგარეთ და საქართველოს არაკომერციულ ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაში მიღების სპეციფიკას.

ლექსიკონის ანბანური მუხლები შედგება საკვანძო ტერმინებისგან, რომელიც გამოყოფილია მსხვილი მუქი შრიფტით და ამ ტერმინებთან მყარი სიტყვათშეთანხმების ნუსხით, რომელიც გამოყოფილია ნიშანით – *. მითითებები სხვა ტერმინებზე და სიტყვათშეთანხმება მოცემულია დახრილი შრიფტით. საკვანძო სიტყვები მითითებებში გამოყოფილია მსხვილი შრიფტით.

ინგლისურ-ქართული
ლექსიკონი

ENGLISH-GEORGIAN
DICTIONARY

A, a

a/c (შემოკლ. **account**) – ანგარიში. იხ. *account*.

abstract – რეზიუმე. რაიმეს მოკლე შინაარსი. გრანტის განაცხადის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი (*იხ. grant*).

***abstract of account** – ამონაწერი ანგარიშიდან.

AC (current account) – მიმდინარე ანგარიში.

account – საბუღალტრო ანგარიში; ანგარიში.

***control account** – საკონტროლო ანგარიში. ანგარიში, რომელზეც ინარმოება აღრიცხვა სხვადასხვა მსგავსი, მაგრამ ცალკეული აღრიცხვიანობის ერთეულებისა (ანალიტიკური ერთეულების აღრიცხვა). მაგალითად, აღრიცხვა მიმწოდებელის მიმართ საბოლოო დავალიანების, განზოგადებული აღრიცხვა ანგარიშების, ანგარიშვალდებული პირებისა და ა.შ.

***balance account** – საბალანსო ანგარიში.

***below-line balance account** – ქვესაბალანსო ანგარიში.

***blocked account** – ანგარიშის დაყადაღება.

***chart of accounts** – ანგარიშთა გეგმა.

***current (bank, cheking) account** – მიმდინარე (საბანკო) ანგარიში.

***settlement account** – საანგარიშსწორებო ანგარიში.

***correspondent account** – საკორესპონდენტო ანგარიში.

***permanent account** – მუდმივი საბუღალტრო ანგარიში. ანგარიში, რომელიც არ იხურება საან-

გარიშო პერიოდის ბოლოს. ნაშთი მუდმივი ანგარიშიდან გადადის სამომავლო პერიოდის დასაწყისისათვის.

***pro forma account** – ფიქტიური ანგარიში.

***T-account** – T ანგარიში. საბუღალტრო ანგარიში, რომელიც ჩანერილია ლათინური T ასოს ფორმით. ე.ი. მარცხნივ, ხაზის ქვეშ – დებეტის თანხაა, მარჯვნივ – კრედიტის თანხა.

***temporary account** – დროებითი ანგარიში.

***interest-free account** – უპროცენტო ანგარიში. ანგარიში, რომელიც აუცილებლად იხურება საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

account book – საბუღალტრო წიგნი. წიგნი (ელექტრონული ან ბეჭდვითი სახით), რომელშიც წარმოებს საბუღალტრო ჩანაწერები და საბუღალტრო აღრიცხვა.

accountant – ბუღალტერი.

***chief accountant** – მთავარი ბუღალტერი.

accounting – საბუღალტრო აღრიცხვა; კალკულაცია. უცხოეთის საბუღალტრო აღრიცხვა ითვალისწინებს ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას. საფინანსო აღრიცხვის შედეგია – ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება როგორც საწარმოს შიგნით, ასევე, მიენოდება სხვა ორგანიზაციებსაც. მმართველობითი აღრიცხვა ქმნის ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება უშუალოდ საწარმოში. ფინანსური აღრიცხვა წარმოებს ერთიანი წესით: ორმაგი ჩანერის პრინციპით, პერიოდული ანგარიშები, მკაცრი დოკუმენტირება და ა.შ. მმართველობითი ანგარიშისათვის არ არსებობს არანაირი ნორმები და შეზღუდვები.

***package of accountings reports** – საბუღალტრო ანგარიშების პაკეტი. იგი აუცილებლად შეიცავს საბუღალტრო ბალანსს შემოსავლებისა და დანა-

ხარჯების შესახებ საანგარიშსწორებო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის.

***accounting period** – საანგარიშსწორებო საბუღალტრო პერიოდი.

***accounting policy** – სააღრიცხვო პერიოდი, დოკუმენტი, რომელიც განმარტავს აღრიცხვის იმ მთავარ წესს, რომელიც მიღებულია ორგანიზაციაში.

accounting records – საბუღალტრო დოკუმენტები.

***separate accounting record** – გამოცალკევებული საბუღალტრო დოკუმენტი. გრანტის მიხედვით შენატანებისა და გასავლების აღსარიცხად, გრანტის გამცემი აუცილებლად ითხოვს ცალკე უზრუნავს, უწყისის ან წიგნის წარმოებას.

accrual accounting – საბუღალტრო აღრიცხვა „დარიცხვის პრინციპის“ საფუძველზე. შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვის მეთოდი, როდესაც ისინი რეგისტრირდება საბუღალტრო წიგნში მათი წარმოშობის დროის და არა თანხის მიღების ან გადახდის მომენტში. ანუ, შემოსავლები აღრიცხება მაშინ, როდესაც ის გამომუშავებულია და გასავლები მაშინ, როდესაც ის რეალურად დახარჯულია. კომპანიების უმრავლესობა იყენებს ამ პრინციპს, თუმცა გრანტების თანხის აღრიცხვისათვის გამოყენებულ უნდა იყოს „სალაროს პრინციპი“. *nb. cash-basis accounting.*

accruals – დაგროვილი დავალიანება ან აკუმულირებული დაუფარავი ხარჯები. სიტუაცია, როდესაც არსებობს დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებენ დავალიანების არსებობის შესახებ, მაგრამ არ არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მის დაფარვას. ასეთი დავალიანება შეიძლება იყოს შეტანილი ხარჯების აღრიცხვი-

ანობის პერიოდში, მხოლოდ გრანტის მიმცემთან შეთანხმებით.

***accrued liabilities** – დაგროვილი ვალდებულებები.

acumúlate – დაგროვება; აკუმულირება.

***accumulated depreciation** – აკუმულირებული ამორტიზაცია. დაგროვილი ცვეთა. საზღვარგარეთის საბუღალტრო აღრიცხვაში ამორტიზირებული დარიცხვები გროვდება სპეციალურ საბუღალტრო ანგარიშზე „აკუმულირებული ამორტიზაცია“. საბუღალტრო ბალანსში მითითებულია ძირითადი სახსრების „სანიგნო ფასი“ (*nb. book value*), რომელიც წარმოადგენს განსხვავებას ძირითადი სახსრების ფასებსა და აკუმულირებულ ამორტიზაციას შორის.

acknowledg(e)ment – დასტური; შეტყობინება; ხელწერილი.

act – აქტი.

***bilateral act** – ორმხრივი აქტი.

***legislative act** – საკანონმდებლო აქტი.

***act of standards, normative act** – ნორმატიული აქტი.

acting – მოვალეობის შემსრულებელი. *nb. to sign "per po"*.

address – მისამართი.

***mailing address** – საფოსტო მისამართი.

***street address** – ფაქტობრივი მისამართი. ხშირად გრანტის გამცემი ითხოვს, რომ მითითებული იქნას არა მხოლოდ საფოსტო მისამართი, არამედ ფაქტობრივი მისამართიც, ე.ი. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რეალური ადგილმდებარეობის მისამართი, ექსტრემალური კავშირის საჭიროების შემთხვევაში.

***residence address** – სახლის მისამართი.

***return address** – დასაბრუნებელი მისამართი.

*former address – ყოფილი მისამართი.

*office address, business address – სამსახურის მისამართი.

*legal address, de jure address – იურიდიული მისამართი (*nb. domicile*).

advance – ავანსი; სესხი; გაუმჯობესება; ფასის მომატება.

*advance as earnest money – ავანსი; ბე.

*advance in the amount of – რაიმე თანხის ავანსის ოდენობა.

*advance payment – საავანსო გადასახადი. ხშირად საავანსო გადასახადები მიეკუთვნება ისეთ პერიოდს, როდესაც გადასახადი გადახდილი იყო, თუ სხვა გადახდის პირობები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებაში.

*advance report – საავანსო ანგარიშგება. განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორება და ამიტომ ავანსი ნაღდი ფულით და შესაბამისად, საავანსო ანგარიშგება იშვიათად გამოიყენება. *nb. expense report, travel expense report.*

agreement – ხელშეკრულება (*nb. covenant*).

*grant agreement – საგრანტო ხელშეკრულება. დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა გრანტი (*nb. grant*), ხელშეკრულება, რომელიც იდება გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის. (*nb. grantor, grantee*). მოცემულ დოკუმენტში და მის დამატებაში განიხილება გრანტის გაცემის ყველა პირობა. არსებული დოკუმენტის გარეშე საგადასახადო ინსპექცია ჩათვლის, რომ გრანტი არის მოგება კომერციული გარიგების საფუძველზე.

*civil rights agreement - სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

*standard agreement - ტიპიური ხელშეკრულება.

*gentlemen's agreement - ზეპირი შეთანხმება.

***bialeteral agreement** – ორმხრივი ხელშეკრულება.

***labour agreement** - შრომითი ხელშეკრულება. კონტრაქტი დამქირავებელსა და მუშაკს შორის.

***contract agreement** - საჯარო ხელშეკრულება.

***partnership agreement** – ხელშეკრულება პარტნიორობის შესახებ.

***infringement (violation) of an agreement** – ხელშეკრულების დარღვევა.

***termination of an agreement** – ხელშეკრულების შეწყვეტა.

***currency of the agreement** – ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

***open-end agreement** – უვადო ხელშეკრულება. ხელშეკრულება, რომლის ამონურვის ვადა არ არის განსაზღვრული.

ahead - წინ;

***ahead of the schedule (of time)** – ვადამდე. პროექტის რომელიმე ეტაპის ვადამდე შესრულებას შესაძლოა არ მიესაღმოს გრანტის გამცემი, რაც დაგეგმარებაში შეცდომის დაშვების წინაპირობაა.

alimonies - ალიმენტი.

allocating costs - ხარჯების გადანაწილება (*იხ. cost allocation*).

allowable costs - დასაშვები ხარჯები. ხარჯები ითვლება დასაშვებად, თუ ისინი გათვალისწინებულია გრანტის ბიუჯეტში, განხორციელებულია საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, არის გამართლებული, კანონიერი, სათანადოდ გაფორმებული საბუღალტრო ჩანაწერებში და დადასტურებულია (პირველადი) დოკუმენტებით.

allowance – ფასდაკლება; შემწეობა; დახმარება; ნების დართვა; გათვალისწინება; ჯიბის ფული.

***income tax allowance** – შეღავათები საშემოსავლო გადასახადებზე. *nb. income tax.*

amortization – ამორტიზაცია; ჩამონერა; დაფარვა; ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნას არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისთვის ძირითადი სახსრების ამორტიზაციისაგან განსხვავებით. *nb.depreciation.*

applicant – განაცხადის შემტანი.

application – განაცხადი.

***expiration of the application period** – განაცხადის შეტანის ვადის ამონურვა. *nb.dead-line.*

***file an application** – განაცხადის შეტანა.

***accept an application** – განაცხადის მიღება.

approve – მონონება; დადასტურება; დამტკიცება; სანქცირება.

***approving transactions** – ფინანსური ოპერაციების დამტკიცება. ყველა ფინანსური ოპერაცია, რომელიც იწარმოება გრანტების თანხებით, ექვემდებარება დამტკიცებას გრანტის მიმღები ორგანიზაციის თანამდებობის პირების მხრიდან (ხშირად ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ).

article – მუხლი.

***article of an agreement** – ხელშეკრულების მუხლი.

***articles of association** – ორგანიზაციის წესდება. წესების კრებული, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციის საქმიანობას (*nb.charter*). წესდების ასლი თან ერთვის განაცხადს გრანტის შესახებ.

assets – აქტივები; სახსრები. სახსრები, რომელიც არის ორგანიზაციის საკუთრება, გამოიყენება ორგანიზაციის სანესდებო საქმიანობაში და შე-

იძლება იყოს გაყიდული (*nb. total assets*). აქტივები შეიძლება იყოს მატერიალური (*nb. tangible assets*), არამატერიალური (*nb. Intangible assets*), ნალდი (*nb. monetary assets*), ლიკვიდური (*nb. liquid assets*), გაყინული (*nb. frozen assets*). საბუღალტრო ბალანსში აქტივები დაყოფილია ძირითად (*nb. fixed assets, capital assets*) და საბრუნავ კაპიტალად (*current assets*). როდესაც მიიღება გადანყვეტილება ორგანიზაციისათვის გრანტის მიცემის შესახებ, გრანტის გამცემი ორგანიზაცია ითხოვს ინფორმაციას აქტივების შესახებ.

association – საზოგადოება; კავშირი; გაერთიანება; ასოციაცია.

attach - მიმაგრება; შემოერთება; დართვა; ძალაში ყოფნა;

***to attach a seal** – ბეჭდის დასმა.

***grant agreement with all documents attached** – საგრანტო ხელშეკრულება ყველა დანართით.

***to attach property** – საკუთრების დაპატიმრება.
nb. blocked account.

attachment– დამატება; მიმაგრება; დადასტურება ბეჭდით.

* **attachment to the grant agreement** – საგრანტო ხელშეკრულების დამატება. *nb. schedule.*

audit (auditing) – აუდიტი. საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების სისწორის შემოწმება და აღრიცხვის წარმოება.

***external audit** – საგარეო აუდიტი. აწარმოებს გარეშე დამოუკიდებელი ფირმა და ამოწმებს საბუღალტრო აღრიცხვის შესაბამისობას კანონით დანესებულ ნორმებთან.

* **internal audit** – შიდა აუდიტი, აწარმოებს თავად ორგანიზაცია და ადგენს გატარებული აღრიცხვის შესაბამისობას საკუთარ ნორმებთან.

***detailed (general) audit** – სრული (საერთო) შემოწმება. საგრანტო ხელშეკრულებაში, როგორც წესი, გათვალისწინებულია გრანტის გამცემის უფლება ჩაატაროს საერთო შემოწმება გრანტის მიმღების საქმიანობის შესახებ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

***audit finding** – სააუდიტო შემოწმების დასკვნა.

average-cost method – პროდუქციის ერთეულის ფასის განსაზღვრის მეთოდი, როგორც საშუალო შეწონილი. ამ პრინციპის თანახმად, პროდუქციის ერთეულის ფასი პარტიაში, რომელიც შედგება სხვადასხვაფასიანი ერთგვაროვანი პროდუქციისაგან, განისაზღვრება საერთო ფასის გაყოფით საერთო რაოდენობაზე. არაკომერციული ორგანიზაციების პრაქტიკაში საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი გამოიყენება გაყიდული ვალუტის საშუალო კურსის ანგარიშსწორებისას, როდესაც თანხის ან ვალუტის ანგარიშზე ირევა ვალუტის თანხები, რომელიც მიიღება ვალუტის გაყიდვისას სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კურსით. *იხ. weighted average exchange rate.*

B, b

balance – ნაშთი; სალდო; ბალანსი. ინგლისურენოვანი ქვეყნების საბუღალტრო აღრიცხვაში ტერმინი "balance" ხშირად გამოიყენება როგორც „ნაშთი“, „სალდო“. „საბუღალტრო ბალანსის“ განსაზღვრებისათვის გამოიყენება ტერმინი "balance sheet".

***balance due** – სადებეტო სალდო.

***balance in hand** – ნაღდი ფული; სალაროს ნაღდი ფული. *nb. cash.*

***balance of an account, account balance** – ანგარიშის ნაშთი.

***opening balance** – საწყისი სალდო.

***amount of balance** – სალდო.

***cash balance** – სალაროს ნაშთი (ანგარიშსწორების ანგარიში).

***strike a balance** – ბალანსის მიყვანა.

***overall balance** – შეჯამებული ბალანსი.

***gross balance** – წინასწარი (საცდელი) ბალანსი. *nb. trial balance.*

***balance externus** – საგარეო ბალანსი, რომელიც შედგენილია სპეციალურად გამოსაქვეყნებლად. *nb. window-dressing.*

balance sheet – საბუღალტრო ბალანსი. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საანგარიშო საბუღალტრო დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის. თუ გრანტის გამცემი სერიოზულად

დაინტერესდება თქვენი ორგანიზაციით, მას შეუძლია მოითხოვოს ბოლო საანგარიშო პერიოდის ბალანსი.

***balance sheet ratio** – საბუღალტრო ბალანსის მთავარი მაჩვენებლები.

bank – ბანკი; ბანკში ჩადება; ფულადი თანხის ბანკში შენახვა.

***bank account** – საბანკო ანგარიში: ანგარიშის ქონა ბანკში.

***separate bank account** – ცალკეული საბანკო ანგარიში. უცხოური გრანტის გამცემმა შესაძლოა მოითხოვოს ცალკე საბანკო ანგარიშის გახსნა გრანტის მიღებისათვის, რათა ამრიგად ანარმოს საბუღალტრო აღრიცხვა და საგრანტო თანხები ორგანიზაციის სხვა თანხებს არ შეერიოს.

***interest bearing bank account** – საპროცენტო საბანკო ანგარიში.

***bank commission** – საკომისიო, რომელსაც კრეფს ბანკი. *იხ. banking charges.*

***bank statement** – საბანკო ანგარიში. ბანკის მოკლე ანგარიში, რომელიც ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობას. ტერმინი აგრეთვე ნიშნავს ანგარიშის მომზადებას, რომელიც აჩვენებს თანხების მოძრაობას ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე. ამ დოკუმენტის ანალოგი საქართველოში არის „ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან“.

***bank transfer to seller** – საბანკო გადარიცხვა გამყიდველს. საქართველოში ამგვარ გადარიცხვას ეწოდება „საგადასახადო დავალება“.

***problem bank** – ბანკი, რომელიც სირთულეებს განიცდის.

***payer's bank** – გადამხდელი ბანკი.

***payee's bank** – მიმღები ბანკი.

***bank failure** – ბანკის გაკოტრება.

***bank transfer** – საბანკო გადარიცხვა.

banking – საბანკო ოპერაციები.

***banking charges (bank commission)** – საკომისიო, რომელსაც კრეფს ბანკი. გრანტის ბიუჯეტში სასურველია გათვალისწინებული იყოს მუხლი, რომელიც შეეხება ბანკის საკომისიო თანხებს. თუ ორგანიზაციამ მიიღო გრანტი სავალუტო ანგარიშზე, საკომისიო მოსაკრებელი იკრიფება იმავე ვალუტაში.

benefit – შემწეობა; სადაზღვევო დახმარება; უპირატესობა: შეღავათი; სარგებელი; სარგებელის მოტანა; დახმარება.

***fringe benefits** – დამატებითი შეღავათები (ხელფასთან).

***social insurance benefits** – სოციალური დაზღვევის გადასახადების გადახდა.

bill – ანგარიში. იგულისხმება არა საბუღალტრო ანგარიში (*nb. account*), არამედ ფინანსური დოკუმენტი. გარდა ამისა, აღნიშნულ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი მნიშვნელობები: სია; ხარჯები; დანახარჯები; ღირებულება; დეკლარაცია; კანონპროექტი; ანგარიშის ამონაწერი.

***warge bill** – სახელფასო ფონდი.

***bill payable, due bill** – ანგარიში გადახდის შესახებ.

blunder – უხეში შეცდომა.

board – საბჭო; კომიტეტი; დეპარტამენტი; დირექტორთა საბჭო.

***board of directors** – დირექტორთა საბჭო.

***board of trustees** – სამეურვეო საბჭო.

***board meeting** – საბჭოს სხდომა.

book-keeping – ბუღალტერია; ანგარიშწარმოება. ორგანიზაციის ფინანსური მოღვაწეობის რეგისტრაციის სამსახური. ბუღალტერიისადმი მოთხოვნები, როგორც საქართველოში, ისე მთელს

მსოფლიოში, ერთიანია: უტყუარობა, ოპერატიულობა, აღრიცხვის სისრულე და სამარტივე, მონაცემების აღრიცხვის შეპირისპირებადობა.

book-keeper – ბუღალტერი.

***chief accountant** – მთავარი ბუღალტერი.

books of prime entry – პირველადი დოკუმენტების რეგისტრაციის წიგნი. საბუღალტრო აღრიცხვის პირველი ეტაპი. საგადასახადო უწყებების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. პირველადი რეგისტრაციის წიგნებს მიეკუთვნება სალაროს წიგნი (*nb.cash book*), შესყიდვების წიგნი (*nb.purchase day book*), ოპერაციების ჟურნალი (*nb.journal*).

brief – მოკლე, შეკვეცილი, საქმის მოკლე წერილობითი აღწერა.

***in brief** – მოკლედ. *nb. abstract*.

budget – ბიუჯეტი; ხარჯთაღრიცხვა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც ახდენს არაკომერციული ორგანიზაციების რეგლამენტირებას. ხელშეკრულებას გრანტის მიღების შესახებ თან ერთვის გრანტის ბიუჯეტი-გრანტის თანხების განაწილება გასაველის მუხლებით (*nb.budget category*).

***budget category (item)** – ბიუჯეტის მუხლი. გრანტის ბიუჯეტის გასაველის მუხლი, სადაც ცალკე გამოიყოფა გარკვეული თანხა საერთო ბიუჯეტიდან.

***line-item budget** – მუხლობრივი ბიუჯეტი.

***budget performance** – ბიუჯეტის შესრულება.

budgetary control – ბიუჯეტის კონტროლი (ხარჯთაღრიცხვა), რათა არ მოხდეს გრანტის ბიუჯეტის მუხლების გადახარჯვა, აუცილებელია გრანტის ბიუჯეტის მიმდინარე კონტროლი. სავალუტო გრანტის ბიუჯეტი მოცემულია ვალუტაში,

ამიტომ ყველა გადასახადი, რომელიც იწარმოება ეროვნულ ვალუტაში, უნდა იყოს გადაყვანილი სავალუტო ეკვივალენტში კურსის მიხედვით. *nb. weight average exchange rate.*

budgetary slack – საბიუჯეტო რეზერვი; დამატებითი ხარჯების მუხლი ბიუჯეტში. დასაშვებია, რომ საბიუჯეტო რეზერვის ხარჯზე დაიფაროს გადახარჯვა ბიუჯეტის სხვა მუხლებით.

burden costs – ზედნადები ხარჯები. *nb. overhead costs.*

business – საქმე; საქმიანობა; მოღვაწეობა; პროფესია.

***business relations** – საქმიანი ურთიერთობები; საქმიანი კავშირები.

***chief business** – მთავარი საქმიანობა.

***business trip** – მივლინება.

buy (bought) – ყიდვა.

***to buy ahead** – რაიმეს შესყიდვა წინასწარ.

***to buy for cash** – ყიდვა ნაღდ ფულზე.

by-law – ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დადგენილება; რომელიმე ორგანიზაციის შიდა დადგენილება.

C, c

calculation – გამოანგარიშება; კალკულაცია; ვარაუდი.

***calculation of costs** – ხარჯების ხარჯთაღრიცხვა.

cancel – ანულირება; გაუქმება; დაფარვა.

***cancelled cheque (check)** – ბანკის მიერ გადახდილი ჩეკის წარდგენა; დაფარული ჩეკი.

capital (Net Worth) – კაპიტალი; ორგანიზაციის საკუთრება; საკუთარი კაპიტალი. წარმოადგენს ორგანიზაციის საკუთრების მთლიან ფასს ყველა მოვალეობის გამოკლებით. ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი.

***permanent capital** – გრძელვადიანი კაპიტალი. კაპიტალის თანხა და გრძელვადიანი ვალდებულებები.

***debt capital** – სასესხო კაპიტალი.

***capital assets** – ძირითადი სახსრები; ძირითადი ფონდები.

capital expenditure – კაპიტალდაბანდება. საწარმოს ხარჯები, რომელსაც მოაქვს ძირითადი კაპიტალის ზრდა (*nb. fixed assets*) მოგების მიღების ხარჯზე. არაკომერციული ორგანიზაციებისათვის კაპიტალდაბანდება არის შენაძენები, რომელიც იძლევა საშუალებას აქტიურად გადაწყდეს საწესდებო ამოცანები.

carriage – გადაზიდვის ხარჯები. მიმწოდებლისაგან შეძენილი საქონლის სატრანსპორტო ფასი. ტრანსპორტირების ხარჯი ხშირად მიეკუთვნება ბიუჯეტის იგივე მუხლს, რომელსაც მიეკუთვნება თვითონ საქონელი.

cash-ნაღდი ფული; ფულადი სახსრები. უცხოეთის საბუღალტრო აღრიცხვაში ფულადი სახსრები შეიცავს თანხას, რომელიც არის ორგანიზაციის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

***cash assets, cash balance** – ნაღდი ფული სალაროს ან ბანკში.

***cash department** – სალარო.

***cash down, in cash, by cash, ready cash, hard cash, money in cash** – ნაღდი ფული; ნაღდი ანგარიშით.

***cash with (in) bank** – ნაღდი ფული, რომელიც არის საბანკო ანგარიშზე.

***cash in (on) hand** – ნაღდი ფული (ბანკში ან სალაროში).

***cashless** – უნაღდო.

cash book – ორგანიზაციის ნაღდი ფულის შემოსავლისა და გასავლების რეგისტრაციის წიგნი. პირდაპირი თარგანი – სალაროს წიგნი, თუმცა რეალურად ეს არის წიგნი, სადაც რეგისტრირდება საბანკო ანგარიშის ოპერაციები. *იხ. cash flow statement.* სალაროს წიგნი ქართული ცნებით ეს არის – *till book*. ქვეყნებში, რომლებშიც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, ზღვარი ნაღდ და უნაღდო ფულს შორის ნაშლილია. ნაღდი ფული ეს არის ფული, რომელსაც ფლობს ორგანიზაცია მოცემულ მომენტში. ე.ი. თანხა ბანკში და პატარა კუპიურებით მიმდინარე ხარჯებისათვის. *იხ. petty cash book.*

cash-flow statement – ნაღდი ფულის ბრუნვის შესახებ ანგარიშგების პერიოდში. საქართველოს

საბუღალტრო ტერმინოლოგიაში ეს ნიშნავს – ანგარიშს თანხების მოძრაობის შესახებ საბანკო ანგარიშზე. *nb. cash book, petty cash book.*

cash-basis accounting – საბუღალტრო აღრიცხვის „საკასო პრინციპი“, რეალური თანხების ჩარიცხვის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვა წარმოებს თანხების ფაქტობრივად შემოსავლისა და გასავლის მიხედვით. კომერციულ ორგანიზაციებში ეს პრინციპი იშვიათად გამოიყენება, რადგან არ იძლევა კომპანიის კაპიტალის რეალურ ცვლილებაზე თვალყურისდევნების საშუალებას. თუმცა გრანტის თანხების აღრიცხვისათვის გრანტის გამცემი ითხოვს აღნიშნული პრინციპის გამოყენებას. *nb. accrual accounting.*

cashier – მოლარე.

CB (central bank) – ცენტრალური ბანკი, ცბ.

CE (Council of Europe) – ევროპის საბჭო, ეს.

certificate – მონმობა; სერტიფიკატი.

***acceptance certificate** – მიღება-ჩაბარების აქტი.

***certificate of writing-off** – ჩამოწერის აქტი (მონყობილობის).

chairman – თავმჯდომარე. *nb. chief.*

change a cheque – ნაღდი ფულის მიღება ჩეკით.

charge – ფასი; მოსაკრებელი; გადასახადი; სესხის ვალდებულება.

***free of charge, without charge (W.C)** – უფასოდ.

charter – წესდება. კანონთა კრებული, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციის მოღვაწეობას. ხშირად განაცხადს გრანტის მიღების შესახებ თანერთვის ორგანიზაციის წესდება.

check – ჩეკის წიგნის ყუა; ნომერი; ჩეკი; შემონ-
მება; კონტროლი; წინაღობა.

***checkbook** – ჩეკის წიგნაკი.

***checking account** – მიმდინარე ანგარიში, ე.ი. ან-
გარიში, რომელიც იძლევა ნებისმიერ დროს თან-
ხის შეტანისა და გატანის შესაძლებლობას.

***check register** – ანგარიშის მიხედვით ოპერაციე-
ბის რეგისტრაციის საბუღალტრო წიგნი.

***chancelled cheque (check)** – წარდგენილი ანგარი-
ში, რომელიც გადახდილია ბანკის მიერ. „საგადა-
სახადო დავალება“ უცხოელი ფინანსისტებისათ-
ვის ნიშნავს გასაველის ჩეკს. თუ გრანტის მიხედ-
ვით ფინანსურ ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს
დაფარული ჩეკები, მაშინ საჭიროა დაუერთოთ
ბანკის მიერ დამონმებული საგადასახადო დავა-
ლება. *nb. payment order, bank statement.*

checked by ... – „სწორია“. აღნიშვნა შემონმე-
ბულ დოკუმენტზე.

cheque – *nb. check.*

***drawer of a cheque** – ჩეკის გამცემი.

***change of a cheque** – ნაღდი თანხის მიღება ჩე-
კით.

chief – უფროსი; ხელმძღვანელი; მთავარი; ძი-
რითადი.

***chief business** – ძირითადი საქმიანობა.

***chief accountant** – მთავარი ბუღალტერი.

***chief financial officer** – ფინანსური დირექტორი.

CIS (Commonwealth of Independent States) – და-
მოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა,
დსთ.

clause – მუხლი; პუნქტი; პირობა.

closing entries – ანგარიშების დახურვა. ანგარი-
შების დახურვა ხორციელდება ოპერაციების უურ-
ნალში ჩანანერის მიხედვით, როდესაც დასახური

ანგარიშის სალდო უდრის ნულს. დროებითი საბუღალტრო ანგარიშები ექვემდებარება დახურვას საანგარიშსწორებო პერიოდის ბოლოს. *nb. temporary account, permanent account.*

COD (cash on delivery) – ფასდადებული.

collection – ინკასო; ინკასაცია.

commission – კომისია (პირთა ჯგუფი); საკომისიო; დაჯილდოვება; *nb. banking charges.*

***to come into commission** – ექსპლუატაციაში შესვლა.

***out of commission** – არამუშა მდგომარეობაში, დაზიანებული.

communication – გადაცემა; კავშირი; კომუნიკაცია; კავშირის საშუალება.

***comunications** – კომუნიკაციები; საკომუნიკაციო ხაზები; კავშირები; კონტაქტები. გრანტის ბიუჯეტის მუხლის გავრეცელებული სახელი, რომელიც განსაზღვრავს კავშირგაბმულობის თანხების გადახდას (ტელეფონი, ფაქსი, ელფოსტა, ინტერნეტი).

company – კომპანია; საზოგადოება.

***joint stock company, stock company** – სააქციო საზოგადოება.

***limited liability company** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

***public company** – ღია სააქციო საზოგადოება.

concepts of accounting – ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. ბუღალტრების საერთაშორისო კომიტეტის მიერ დამუშავებულია გენერალური შეთანხმება საბუღალტრო პრინციპების აღრიცხვისათვის, რომელიც შეიცავს ცხრა მთავარ პრინციპს. (*nb. GAAP*). 1. ორმხრივობის პრინციპი (*nb. dual-aspect concept*). 2. ფულადი გაზომვის პრინციპი. (*nb. money-measurement concept*) 3. სანარმოს ავტონო-

მიურობის პრინციპი (*nb. entity concept*). 4. უწყვეტობის პრინციპი (*nb. going-concern concept*). 5. თვითღირებულების პრინციპი (*nb. cost concept*). 6. კონსერვატიზმის პრინციპი (*nb. conservatism concept*). 7. მატერიალურობის პრინციპი (*nb. ateriality concept*). 8. რეალიზაციის პრინციპი (*nb. realization concept*). 9. შესაბამისობის პრინციპი (*nb. matching concept*).

conservatism concept – კონსერვატიზმის პრინციპი. გენერალური შეთანხმების საბუღალტრო აღრიცხვის მეექვსე პრინციპი. *nb. GAAP, concepts of accounting*. ამ პრინციპის თანახმად, ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდა აღიარებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის უკვე განხორციელებულია, ხოლო კაპიტალის შემცირება აღიარებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მოვლენა უკვე შესაძლებელია.

consistency concept – აღრიცხვის მეთოდის უცვლელობის პრინციპი. საბუღალტრო აღრიცხვის საბაზო პრინციპი, რომლის თანახმადაც შედეგების შეპირისპირებადობის მისაღწევად, საბუღალტრო აღრიცხვიანობის შესატყვისი ელემენტები არ უნდა იცვლებოდეს ერთი საანგარიშგებო პერიოდიდან შემდგომ პერიოდამდე.

contingency – შემთხვევითობა; გაუთვალისწინებელი გარემოება.

***contingencies** – გაუთვალისწინებელი ხარჯები. მუხლი საგრანტო ბიუჯეტში, რომელსაც მიეკუთვნება გაუთვალისწინებელი ხარჯები, და რომლებიც არ არის სხვა მუხლებში. *nb. budgetory slack, expense*.

contract – კონტრაქტი; შეთანხმება; ვალდებულება; შემცირება.

***bilateral contract** – ორმხრივი კონტრაქტი..

***labour contract** – შრომითი ხელშეკრულება (შეთანხმება).

***contractual services** – საკონტრაქტო მომსახურება; მომსახურება, რომელიც ხორციელდება კონტრაქტის მიხედვით. გრანტის ბიუჯეტის მუხლის ტიპური სახელწოდება, რომელიც ემსახურება იურისტების, აუდიტორების, თარჯიმნებისათვის საკონტრაქტო მომსახურების ანაზღაურებას. აღნიშნული მუხლის თანახმად არ შეიძლება ორგანიზაციის თანამშრომლების ხელფასის გადახდა – მათი ხელფასი გათვალისწინებულია მუხლში „ხელფასი“ (*nb. salaries*).

contribute – შეწირვა. *nb. donate.*

***contributor** – შემწირავი პირი.

***contribution** – ანაბარი; შესატანი.

***pension contribution** – საპენსიო გადარიცხვა.

copy – ასლი.

***carbon copy** – ასლი, გაკეთებული ასლის გადამღები ქაღალდით.

***arrested copy** – დამონმებული ასლი.

***xerocopy** – ქსეროასლი.

cost – ფასი; ღირებულება.

***cost of living** – საარსებო მინიმუმი.

***costs** – ხარჯი; დანახარჯი.

***overhead costs, burden costs, oncost** – ზედნადები ხარჯები.

***operating costs** – საექსპლუატაციო ხარჯები; მიმდინარე ხარჯები. საექსპლუატაციო დანადგარების ხარჯები (მიმდინარე მოვლა, შეკეთება, სათადარიგო ნაწილები, ამორტიზაცია, ინსტრუმენტები).

***miscellaneous costs** – სხვა ხარჯები. *nb. sundry expenses.*

cost accumulation – დანახარჯების კალკულაცია. რაიმეს ფასის განსაზღვრა, მაგალითად, პრო-

ექტის ფასის განსაზღვრა ხორციელდება გრანტის განაცხადის მიხედვით. ზემოთაღნიშნული არის საფუძველი გრანტის ბიუჯეტის შედგენისას. *იხ. budget.*

cost allocation – ხარჯების განაწილება ბიუჯეტის მუხლების თანახმად.

cost apportionment – ხარჯების პროპორციული განაწილება. თუ რამდენიმე გრანტიდან, რომელიც მოქმედებს ორგანიზაციაში, ფინანსდება საერთო ხარჯები (მაგალითად: შენობის იჯარა ორგანიზაციისათვის, კომუნალური გადასახადების გადახდა, მმართველობითი პერსონალის ხელფასი), იმ შემთხვევაში ხარჯები უნდა იყოს პროპორციულად განაწილებული შესაბამის ბიუჯეტებს შორის. *იხ. cost center.*

cost center – დანაყოფი ორგანიზაციის შიგნით, რომელიც ახორციელებს დამოუკიდებელ პროექტს და გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი. საერთო ხარჯები პროპორციულად უნდა იყოს განაწილებული რამდენიმე ასეთ დანაყოფს შორის. *იხ. cost apportionment.*

cost concept – თვითღირებულების პრინციპი. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მეხუთე პრინციპი. *იხ. concepts of accounting.* აღნიშნული პრინციპის თანახმად საბუღალტრო აღრიცხვაში ნაჩვენებია მხოლოდ სანარმოს სახსრების თვითღირებულება და არა მათი საბაზრო ფასი. ამგვარად, საბუღალტრო აღრიცხვა არ იძლევა საშუალებას დადგინდეს სახსრების რეალური ფასი.

course – კურსი; დინება; ქცევის ხაზი.

***course of exchange** – სავალუტო კურსი.

***in due course** – სათანადო დროს.

***in the course of year** – წლის განმავლობაში.

covenant – ხელშეკრულება; ბეჭედდასმული ხელშეკრულება; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. *იხ. agreement.*

covering letter – თანმხლები წერილი.

credit – კრედიტი; ნდობა.

***credit balance** – საკრედიტო სალდო.

***to credit an amount to ...** – თანხის ჩანერა ვინმეს ანგარიშის კრედიტში.

creditor – კრედიტორი. იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის ვალიც გააჩნია ორგანიზაციას მიღებული საქონლის ან მომსახურების გამო. *იხ. liability.*

cross rate – კროს-კურსი. ვალუტის გადასაცვლელი კურსი, რომელიც დგინდება მესამე ვალუტასთან მიმართებაში.

currency – ფულადი ბრუნვა; ვალუტა; ფული; ხანგრძლივობა.

***currency of the agreement** – ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

***local currency** – ადგილობრივი ვალუტა.

***conversion of currency** – ვალუტის გადათვლა.

***convertible currency** – თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

***hard/soft currency** – კონვერტირებადი/არაკონვერტირებადი ვალუტა.

***sound currency** – მყარი ვალუტა.

current – მიმდინარე; ამჟამინდელი.

***current rate** – მიმდინარე კურსი..

***current assets** – საბრუნავი სახსრები; საბრუნავი კაპიტალი. თანხის ოდენობა, რომელიც მოცემულ მომენტში არის ორგანიზაციაში (ბანკში, სალაროში) და სახსრები, რომელიც ორგანიზაციამ

უნდა აქციოს ფულად თანხად ერთი წლის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, საბრუნავი კაპიტალი – მარაგი, დებიტორი და ფულადი სახსრები. *იხ. Stock, debtor; cash.* საბუღალტრო ბალანსში საბრუნავი კაპიტალის ელემენტები განლაგებულია ლიკვიდობის კლებითი რიგის მიხედვით. (*იხ. liquidity*).

***current liabilities** – მოკლევადიანი ვალდებულებები. დავალიანება, რომელიც დაფარულ უნდა იქნას მოკლე ვადაში (ხშირად ერთი წლის განმავლობაში).

D, d

date – თარიღი; ვადა; დათარიღება. ყურადღება გმართებთ თარიღის ფორმატის, განსაკუთრებით, იმ ორციფრინი რიცხვების გამოყენებისას, რომლებიც გაყოფილია ნერტილებით. ქართულ ფორმატში პირველად მითითებულია თარიღი და შემდეგ თვე, უცხოეთის უმრავლეს ქვეყნებში კი – ჯერ თვე და შემდეგ თარიღი. მაგალითად, თარიღი 01.05.98 საზღვარგარეთ აღნიშნავს არა პირველ მაისს, არამედ – ხუთ იანვარს. შეცდომების თავიდან ასარიდებლად სჯობს გამოიყენოთ შემოკლებული დამწერლობა ასოებით, მაგალითად: იან. 5, 1998.

***dated date** – ფიქსირებული თარიღი.

***to date** – მოცემული თარიღი.

***at an early date** – მოკლე ვადაში.

***at long (short) date** – ხანგრძლივი (მოკლე) ვადით; გრძელვადიანი (მოკლევადიანი).

***due date** – გადახდის ვადა; შესრულების ვადა.

***at the earliest possible date** – უმოკლეს ვადაში;

***closing date** – საბოლოო თარიღი; უკანასკნელი თარიღი.

***closing date** – დასკვნითი ვადა.

***effective date** – ძალაში შესვლის თარიღი.

***meet the dates** – თარიღის შესრულება.

***failure to meet a date** – ვადის დარღვევა.

***out of date** – მოძველებული.

***up to date** – თანამედროვე.

***specific date** – კონკრეტული ვადა.

* **value date** – თანხის ჩარიცხვის თარიღი (საბანკო ანგარიშზე).

* **postponement of date** – გადაუადება.

day – დღე.

* **day off, day of rest, rest day, non-working day** – დასვენების (გამოსასვლელი) დღე.

* **calendar days** – კალენდარული დღეები (დღე-სასწაულებისა და გამოსასვლელი დღეების ჩათვლით).

* **inactive day** – დასვენების დღე.

* **working day, labour day** – სამუშაო დღე.

* **pay day** – ხელფასის გაცემის დღე.

deadline , dead-line – უკანასკნელი ვადა; საბოლოო ვადა. ხშირად, გრანტის გამცემი აწესებს გრანტზე განაცხადის მიღებისა და პროექტის ფინანსური ანგარიშის წარდგენის უკანასკნელ ვადას. *იხ. application report.*

debit – დებეტი; სადებეტო სალდო; დებეტში ჩანერა;

debt – ვალი.

* **debt receivable** – დებეტური დავალიანება.

* **active debt, outstanding dept, undischarges debt** – გადაუხდელი ვალი.

debtor – დებიტორი. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მართებს ორგანიზაციის თანხა.

* **debtor balance** – დებეტური სალდო.

declaration – დეკლარაცია; განცხადება.

* **tax declaration** – საგადასახადო დეკლარაცია.

deduction – გადმორიცხვა; დაკავება; გამოქვითვა; ფასდაკლება.

deed – საქმე; მოქმედება; ბეჭედდასმული დოკუმენტი; აქტი.

* **deed of trust** – შენახვის გადაცემის აქტი.

***title deed** – ტიტული. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უფლებას საკუთრებაზე.

default – ვალდებულებების ან მოვალეობების შეუსრულებლობა, დეფოლტი.

***credit default** – კრედიტის დავალიანებების გადაუხდელობა.

deferred liabilities – გადავადებული ვალდებულებები. ვალი, რომელიც არ ექვემდებარება გადახდას მოკლე ვადის პერიოდში (ერთი წლის განმავლობაში).

deficit – დეფიციტი. ხარჯების გადაბარება შემოსავლებზე არაკომერციულ ორგანიზაციებში. კომერციულ საქმიანობაში ამგვარ გადაბარებას ეწოდება ზარალი. *nb. Loss, profit, surplus.*

delivery – მოტანა; ჩაბარება; გადაცემა; ფორმალური გადაცემა.

***cost of delivery** – მონოდების ღირებულება. მონოდების ღირებულება, ხშირად იმავე ხარჯების მუხლს ემთხვევა, რომელსაც ეკუთვნის საქონელი.

deposit – ბე; გირაო; დეპოზიტი; ანაბარი ბანკში; შენახვა;

***initial deposit** – პირველადი შესატანი.

depreciation – ამორტიზაცია; ცვეთა. *nb. physical depreciation, accumulated depreciation.*

***accelerated depreciation** – დაჩქარებული ამორტიზაცია.

***staright-line depreciation** – პირდაპირი ამორტიზაცია. ამორტიზაცია თანაბარი წილებით მთელი ვადის განმავლობაში.

***depreciation rate** – ამორტიზაციის ნორმა.

document – საბუთი; დოკუმენტი.

***accopmaning document** – თანმხლები დოკუმენტი.

***account document** – საანგარიშო საბუთი.

***appended document** – დართული საბუთი (დოკუმენტი).

***authorization document** – განმკარგულებელი საბუთი.

***certify a document** – საბუთის დამონმება.

***discovery of documents** – საბუთების გამოთხოვა; საბუთების წარდგენა.

***draw up a document, settle a document** – საბუთის შედგენა.

***notarised document, document certified by notary** – ნოტარიულად დამონმებული საბუთი.

***forward a document** – საბუთის მიმართვა.

***in-house (internal) document** – სამსახურეობრივი (შიდა) საბუთი.

***"in ("out") document** – შემოსული დოკუმენტი (გასული) საბუთი.

***original (source) document** – დოკუმენტის დედანი

***payment document** – საგადასახადო საბუთი.

***permit document** – ნებართვის საბუთი.

***registration documents** – სარეგისტრაციო საბუთი.

***requisite elements document** – საბუთის რეკვიზიტები.

***traffic document** – გადასაზიდი საბუთი.

***travel document** – სამგზავრო საბუთი.

***stamped document** – ბეჭედდასმული საბუთი.

***basis document, primary document** – პირველადი დოკუმენტი. პირველადი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს წერილობით დადასტურებას სამეურნეო ოპერაციის შესრულების შესახებ და რომელსაც გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობა. ხშირად გრანტის გამცემი ითხოვს, რომ ფინანსურ ანგარიშს თან დაერთოს პირველადი დოკუმენტების ასლები იმ თანხაზე, რომელიც აღემატება მოცემულ სიდიდეს.

domestic – სამამულო.

domicile – იურიდიული მისამართი. *nb. legal address.*

donate – შეწირვა. *nb. contribute.*

***donation** – შეწირულობა. *nb. endowment.*

double entry – ორმაგი ჩანანერი.

***double entry book-keeping** – საბუღალტრო ანგარიში ორმაგი ჩანანერის მეტოდით. საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების სისტემა, როდესაც ყოველი ფინანსური ოპერაცია ფიქსირდება ორ ანგარიშზე – დებეტითა და კრედიტით (*nb. debit, credit*). *nb. single entry book-keeping.*

draft – პროექტი; გეგმა; შავად ნანერი; ნახაზი.

***draft treaty** – ხელშეკრულების პროექტი.

drawdown – ტრანში; თანხების მოხსნა სასესხო ანგარიშიდან, თანხის გადატანა ერთი საბანკო ანგარიშიდან მეორეზე. ტერმინი ხშირად გამოიყენება იმ თანხების განსაზღვრისთვის, რომლებიც ირიცხება გრანტის გამცემის ანგარიშზე. *nb. withdraw.*

***drawdown request** – საკრედიტო თანხების გამცემის მოთხოვნა.

dual-aspect concept – ორმხრივობის პრინციპი. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუღალტრო ანგარიშის გენერალური შეთანხმების პირველი პრინციპი (*nb. GAAP, concepts of accounting*). აღნიშნული პრინციპის თანახმად, ორგანიზაციის ჯამი ყოველთვის უდრის მის ვალდებულებების და კაპიტალის ჯამს. ორგანიზაციის ჯამი რას ნიშნავს? ესაა ტოლობა, რომელსაც საბალანსო განტოლება ეწოდება, თუ საბუღალტრო ანგარიშში არ არის დაშვებული შეცდომა, ყოველთვის და ნებისმიერ პერიოდში უნდა იყოს შესრულებული.

E, e

E.& O.E (შემოკლ. **errors and omissions excepted**) - „შეცდომებისა და ხარვეზების გამორიცხვა“. მინაწერი ფინანსური საბუთის ბოლოს, რომელიც შეცდომების შემდგომ შესწორების საშუალებას იძლევა.

E.E. - (შემოკლ. **errors excepted**) - „შეცდომების გამორიცხვა“. იხ. *E. & O.E*

earn - გამომუშაება; შემოსავლის მიღება.

***earned income** - ორგანიზაციის შემოსავალი.

***earned surplus** - გადაუნაწილებელი მოგება.

***earnings per month** - თვიური ხელფასი.

***earnings** - წმინდა მოგება.

***retained earnings** - გაუნაწილებელი მოგება.

EBIT (earnings before interest and taxes) - წმინდა მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე.

ECU (European Currency Unit) - ევროპული სავალუტო ერთეული

EEC (European Economic Community) - ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა, ეეთ.

effect - რეზულტატი; შედეგი; მოქმედება; მიზანი; მწარმოებლურობა; შესრულება.

***to effect payment** - გადახდის წარმოება.

***effects** - ქონება; საკუთრება.

***to take effect** - ძალაში შესვლა.

effective - მოქმედი; სასარგებლო; ძალის მქონე.

***effective date** - ძალაში შესვლის თარიღი.

***effective money** – ნაღდი ფული.

e-mail – ელექტრონული ფოსტის მისამართი.

employ – სამსახური; საქმიანობა; გამოყენება; სამსახურში აყვანა.

***employee** – დაქირავებული თანამშრომელი.

***wage employee** – მუშა;

***full-time employee** – სამტატო თანამშრომელი; თანამშრომელი, რომელიც მუშაობს სრულ სამუშაო დღეს.

***part-time employee** – თანამშრომელი, რომელიც მუშაობს შეთავსებით, ე.ი. არასრულ სამუშაო დღეს.

***employer** – დამქირავებელი; სამუშაოს მიმცემი; მენარმე.

employment – სამუშაო; საქმიანობა; გამოყენება;

***employment book** – ანარიშსწორების ნიგნაკი.

***letter of employment** – ბრძანება სამსახურში მიღების შესახებ. პირველ შუალედურ ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს ბრძანება ორგანიზაციის იმ თანამშრომლების სიით, რომლებიც იღებენ ხელფასს გრანტის სახსრებიდან, მათი ხელფასის ოდენობისა და დაკავების დროის მითითებით. (*nb. timesheet, wage authorization*).

encash – ნაღდი ფულის მიღება. სიტყვის სხვა მნიშვნელობაა ინკასაცია.

***encashment** - ნაღდი ფულის მიღება; ნაღდი ფულის შენატანები; ინკასირება.

endorse – ხელის მოწერა საბუთის უკანა გვერდზე; ჩაწერა; აღნიშვნა.

endowment – ანაბარი; შესანიერი; საჩუქარი.

***endowment approval** – სპონსორის სანქცია (ნებართვა, დამტკიცება).

endowment – შესანიერი. *nb. donate*

entity – ორგანიზაცია; საწარმო. ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას.

entity concept – ავტონომიურობის პრინციპი. მესამე პრინციპი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გენერალური შეთანხმების საბუღალტრო აღრიცხვაში. *იხ. GAAP, concepts of accounting.* აღნიშნული პრინციპის თანახმად, ორგანიზაციის საბანკო ანგარიშები განცალკევებული უნდა იყოს მათი მფლობელების, დამფუძნებელთა და თანამშრომელთა პირადი ანგარიშებისგან.

entry – საბუღალტრო ჩანაწერი; გატარება; შესასვლელი; შესვლა; მუხლი ლექსიკონში.

***closing entries** – დახურული ჩანაწერები; ანგარიშების დახურვა.

***compound entry** – რთული გაყვანა.

***reversing entry** – სტორნო. საბუღალტრო გატარება, რომელიც ადრე გაკეთებული არასწორი გატარების ანუღირებას ახდენს.

equation – გათანაბრება. (განტოლება).

***balance sheet equation** – საბუღალტრო ბალანსის გათანაბრება. სახსრები = ვალდებულებები + კაპიტალი. აღნიშნული განტოლების სხვა დასახელებაა – **fundamental equation of accounting** (საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი განტოლება). *იხ. dual-aspect concept.*

equipment – აღჭურვილობა.

***equipment and supply** – „აღჭურვილობა და მასალა“. გრანტის ბიუჯეტის მუხლის ტიპური დასახელება.

***computer equipment** – კომპიუტერული აღჭურვილობა.

***office equipment** – საოფისე აღჭურვილობა.

***replacement of outmoded equipment** – მოძველებული აღჭურვილობის შეცვლა.

equities (equity in assets) - საკუთარი კაპიტალი. საწარმოს სახსრების გადაჭარბება მის ვალდებულებებზე.

error - შეცდომა; დაუდევრობა.

***clerical error** – კალმის შეცდომა.

***inadvertent error** – უნებლიე შეცდომა.

estate – ქონება.

***real state** – უძრავი ქონება.

***personal estate** – მოძრავი ქონება.

exchange – გაცვლა; ფულის გაცვლა; უცხოური ვალუტა; ოპერაციები უცხოური ვალუტის საშუალებით.

***exchange gain (loss)** – საკურსო შემოსავალი (დანაკარგი); საკურსო განსხვავება. განსხვავება, რომელიც წარმოიქმნა ერთი ვალუტიდან მეორეში გადათვლის დროს, თუ ვალუტის თანაფარდობა შეიცვალა გადათვლის ორივე თარიღის დროს.

***exchange rate** – გაცვლის კურსი (*nb. weighted average exchange rate*). ერთი ვალუტიდან მს ეორეში გაცვლის კურსი.

***difference in exchange** – სხვაობა შესყიდვისა და გაყიდვის კურსს შორის. არ აგერიოთ კურსის განსხვავებასთან, *nb. exchange gain (loss)*.

***foreign exchange** – უცხოური ვალუტის კურსი.

***rate of exchange** – სავალუტო კურსი.

exempt – გათავისუფლება; ამოღება; თავისუფალი.

***exemption** – გათავისუფლება; შეღავათი.

***to exempt from taxes** – გადასახადებიდან გათავისუფლება.

expenditure – ხარჯები; დანახარჯები. ორგანიზაციის ხარჯების შემცირება საქონელის შეძენისა და მომსახურების საფასურის გადახდის ხარჯზე.

expense – ხარჯი; დანახარჯი. ხარჯები წარმოადგენს შესყიდული საქონლისა და მომსახურების მოხმარებას წარმოების პროცესში. ხარჯები არ უნდა აგვერიოს დანახარჯებთან. (*nb. expenditures*).

***additional expenses** – დამატებითი ხარჯები.

***accrued expenses** – *nb. accruals*.

***anticipated expenses** – დაგეგმილი ხარჯი.

***at our (your) expenses** – ჩვენს (თქვენს) ანგარიშზე.

***current expenses** – მიმდინარე ხარჯი.

***depreciation expenses** – ხარჯი ამორტიზაციისთვის.

***extra expenses** – დამატებითი ხარჯები.

***travelling expenses** – სამივლინებო ხარჯები.

***heavy expenses** – მნიშვნელოვანი ხარჯები.

***incidental (contingencies, unforeseen) expenses** – გაუთვალისწინებელი ხარჯები.

***sundry expenses** – სხვა ხარჯი. *nb. miscellaneous costs*.

***repair expenses** – სარემონტო ხარჯი.

***overhead expenses** – ზედნადები ხარჯი.

***prepaid expenses** – წინასწარ გადახდილი ხარჯები.

***operating expenses, running expenses** – საექსპლუატაციო ხარჯები; მიმდინარე ხარჯი. *nb. operating costs*.

***to cut down expenses** – ხარჯების შემცირება.

express – ექსპრესი; კურიერი; სასწრაფო წერილი; გარკვეული; მკვეთრად მართებული გადასახადი; დამატებით გადახდა.; ფასნამატი; დამატებით; უმაღლესი ხარისხი.

***extra charges** – დამატებითი ხარჯები; სასწრაფო ხარჯები.

***no extras** – დამატებითი გადახდის გარეშე.

extraordinary loss (gain) – განსაკუთრებული დანაკარგები (მოგება).

F, f

FAS (financial accounting standards) – ფინანსური მოღვაწეობის საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტები აშშ-ში.

FCC (free convertible currency) – თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

federal regulations – ფედერალური სამართლებრივი ნორმები. საგრანტო ხელშეკრულებაში ხშირად ჩამოთვლილია გრანტის სახსრების მოხმარების ფორმები, რომელიც ნაკარნახევია გრანტის გამცემი ქვეყნის ფედერალური სამართლის ნორმებით. მაგალითად, საგრანტო სახსრებით აკრძალულია საარჩევნო კომპანიების დაფინანსება, პოლიტიკური პარტიების ლობირება არჩევნებზე გავლენის მოხდენის მიზნით და ა.შ.

fee – დაჯილდოება; ჰონორარი; შენატანი მოსაკრებელი.

***to charge fees** – მოსაკრებლის აკრეფა.

